ოქმი:**ო12.37221651**

თარიღი:**14/06/2022**

ოქმი № 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 13 ივნისი

ქ.ოზურგეთი

13.30-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : მ. ვაშალომიძე, ხ. თავდიშვილი, ნ. სარჯველაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ქარჩავა, ვლ. ხავთასი, მ.ჩხიკვიშვილი, გ.სირაძე, ტ.მგელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.გენდერული ბიუჯეტირების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2.გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „კარგი მიმართულება გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში მომზადებული ანგარიშის-შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში-გაცნობის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე და საერთოდ, გენდერული ბიუჯეტირების მნიშვნელობაზე, ხოლო თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული გენდერული მიმართულებები და მომავალი წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი საკითხები. შემდეგ თანამომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო შემოსული ანგარიში, რომელიც მიღებულ იქნა ცნობად.

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი